საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მადლის ეკლესია

მადლის ეკლესია. XI–XII სს.

მადლის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს საინგილოში, ბელაქნის რ–ნში (ამჟამად აზერბ. რესპ.). მას ადგილობრივი მცხოვრებნი ნურ-ქილისას უწოდებენ. არქიტ. ნიშნებით განეკუთვნება XI–XII სს. და წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას, აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით. ნაგებია რიყის ქვით კირის მოჭარბებულ ხსნარზე. ძლიერ დაზიანებულია. ძეგლი 1518–74 წწ-ში კარგად შენახული და მოქმედი ყოფილა, რასაც ამტკიცებს შუამთის მონასტრისათვის ლევან კახთა მეფის მეუღლის, თინათინის გაცემული გუჯარი. შენობას ეტყობა მშენებლობის ორი ეტაპი: პირველს ეკუთვნის თვით ეკლესია, მეორეს კი – მოგვიანებით (სავარაუდოდ XVI ს.) აგურისაგან აგებული ორსართულიანი, გეგმით კვადრატული სამრეკლო, რ-იც ეკლესიას დას-იდან აქვს მიშენებული. მისი პირველი სართული კარიბჭეა, მეორე – თაღებით გახსნილი რვაწახნაგა ფანჩატური.

ლიტ.: ა დ ა მ ი ა ი., ძველი ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 1969, №19; მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გ., ჰერეთი, თბ., 2005.

გ. მარჯანიშვილი